ლი დასკვნა, სულ სხვანაირი შედეგით ბოლოვდება. თუ საზოგადოება მაინც თავისებურად ირკვევს საქმეს და ბეჭდურ სიტყვას არ აჰყვება ხოლმე, ეს ყოველ ყოველთვის იმის ნიშანი არ არის, ვითომ იგი ძალიან შორს გამჭვრეტელი იყოს და დამოუკიდებელი აზრის მქონეც... რასაკვირველია, არა. ოღონდ ჩვენ ის მოვდენა უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირი არის შეუთანხმებლობა ბეჭდვით სიტყვისა და საზოგადოების შორის. რად უნდა ხდებოდეს ეს? რა უნდა იყოს მიზეზი ამისთანა არა სასურველი ურთიერთობისა? ორში ერთი უნდა იყოს: ან საზოგადოებას უნდა ჰქონდეს დახშული წესიერი მსჯელობის ნიჭი და მოხერხება, ან დ ოთვით აზრის მიმწოდებელი უნდა კოკლოშდეს და სუსტობდეს ამაში. ჩვენ არ გავამტკიცებდით ამ უკანასკნელებს, რომ მართლაც ამის უხეი მაგალითები არ ვვდღეს თვალწინ. ავიღოთ მაგალითად ჩვენი აარჩევნები და სხვა და სხვა პირების გაკეთებულები წერილები ამა თუ იმ საარჩევნო პირების შესახებ. თითქმის დიდი ხნის წინად დაიწყებენ ხოლმე საარჩევნო პირების კიცხვა-გინებას და ბოლოს კი ისე გამოსულა, რომ ამ ნაკიან პირებს უმეტესობა იარჩეს და ზეკამდე აღაყანონი პირები კი გაშავებულან. სხვა ძველ მაგალითებს თავი დავანებოთ და ავიღოთ ახალი მაგალითი, ქუთაისის ქალაქის თავის ბ. ლოლუას აარჩევნი. ერთი ვინმე, „მეთვალყურის“ ნიღაბით აღპურული, აგერ წელიწადი არის რაც აღიმტერა ბ-ნ ლოლუას წინააღმდეგ, მაგრამ საზოგადოებაზე კი ვერაკვიანარი გავლენა მისმა ბეჭედითმა სიტყვამ, სრანს, ვერ იქონია. რისთვის? ალბად ამ მეთვალყურის სიტყვა მოკლებული ყოფილა მას, რაც აუცილებელია ყოველი აზრისათვის, რომ იგი დასაჯერებელი და დამარწმუნებელი გახდეს მისი მსმენელისათვის. ჩვენ სრულებით არ ვეხებით ყველა მის მიერ მოძღვნილ მსჯელობას—რადგანაც ეს არც არის მიზნად დასასახავი, ოღონდ როგორც გარეშე მკითხველმა, უნდა აღვნიშოთ, რომ ამ წერილებს რაღაც გამწვავებული და ნაძალადევი გაზვიადების კილო დასცემს. რასაკვირველია, ეს სალაპარაკოდ არც კი ღირს და არც ჩვენ გამოვეკიდებით ამას, მაგრამ ძალაუნებურად იძულებული ვართ ამ ტამდე შევეხოთ ამ საგანს, რადგანაც „მეთვალყურის“ უკანასკნელ წერილში, რომელიც „ახალ მიმოს.“ №-5036 №-ში არის დაბეჭდილი, პირდაპირ ისეთი რამე არის მოხსენებული, რაიც სავსებით [illegible] ლია სინამდვილესა და პირადად ჩვენც შეგვეხება.

ბ-ნი მეთვალყურე ამბობს, 1) ვითომც მღვდელს არ ჰქონდეს უფლება კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღების; 2) ვითომც ბ-ნ ლოლუას წინააღმდეგობისათვის იყო დათხოვნილი ბ. თუთბერიძე და მომხრეობისათვის — დანიშნული დღ. ღამბაშიძე, და კიდევაც ამ ერთ ხმას გაეყვანოს იგი ქალაქის თავად, და 3) განცვიფრებით აღნიშნავს, თუ რად ვიყავით მაინც და მაინც ჩვენ დანიშნული სამღვდელოების წარმომადგენელად ქ. ქუთაისის საბჭოში, როდესაც „რეზიდენცია“ ყვირილაში გვაქეს... ყველა ეს მოსაზრებანი მოკლებულნი არიან სიმართლეს. მკითხველი, რომელიც საქმის გარემოებას არ იცნობს, რასაკვირველია, სულ სხვანაირად იგულისხმებს ბ-ნ მეთვალყურის სიტყვას, მაგრამ საქმე სულ სხვანაირად არის: 1) მართალია, რომ ახალი „ქალაქის დადგენილებით“ მღვდლებს არა აქვს უფლება სახმისნე არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, მაგრამ როცა ხმისნების კრებაში მონაწილეობას იღებს სამღვდელო პირი, როგორც სამღვდელოების წარმომადგენელი, მაშინ იგი კენჭის ყრაშიდაც და ხმის მიცემაშიდაც მონაწილეობას იღებს სხვებთან ერთად. 2) ეპარქიის კანცელარიის მდივანს ბ-ნ თუთბერიძეს კენჭი უყრიეს ხმისნად აღარჩევაზე, მაგრამ გაშეებულ იქმნა. ამის შემდეგ იგი იქმნა დანიშნული სამღვდელოების წარმომადგენელად. ამ დანიშვნამ გამოიწვია მთქმა-მოთქმა საზოგადოებაში, რაშაც უმაღლეს მთავრობამდე მიაღწია. უმაღლესმა მთავრობამ ურჩია ყოველად სამღვდელოს, რომ სამღვდელოების წარმომადგენელად ერის კაცის მგავიდან აღარჩია მღვდელთაგანივე. ყოველად სამღვდელოს აი ამიტომ უთუოდ უნდა დაენიშნა წარმომადგენელად ვინმე სამღვდელო პირთაგან. მიზეზი ეს იყო და არა ის უცნაურად განხარტებული აზრი, რაც მეთვალყურეს მოჰყავს თავის წერილში. თორემ ბ-ნ თუთბერიძის განსაკუთრებული ნიჭი, ბ-ნ ლოლუას მოღვაწეობის ეთომდა ზედმეწევნით მცოდნე, აქ არაფერ შუაში არის, და არც არავის სწამს იგი ბ-ნ მეთვალყურის მეტს. ძლიერ შემცდარი ბრძანდება ბ. მეთვალყურე, თუ იმას ფიქრობს, რომ ბ. ე. თუთბერიძე წინააღმდეგ იყო ბ. ლოლუასი. ოთხი წელიწადი ბრძანდებოდა ბ. თუთბერიძე ქუთაისის ხმისნად და ამ დროში არასოდეს არ მომხდარა

ისეთი რამ ჰქონის დროს, რომ იფიქროს კაცმა ის, რასაც ფიქრობს ბ. მეთვალყურე.. მაგრამ ყველა ესეები ეჩვენება მეთვალყურეს და თავის აზრის დასაბუთებლად მოყავს, ისე, უადგილოდ და უსაბუთოდ. იმასაც კი ამბობს ბ-ნი მეთვალყურე, ვითომ ქუთაისში სხვა სამღვდელო პირთაგანი ბ. ლოლუას მომხრე არავინ ყოფილიყოს და ამისათვის გამოვერჩიეთ ჩვენ, და კიდევაც ამ ერთის ხმის წყალობით აღრჩეულიყოს ბ. ლოლუა და დამარცხებულიყოს მეთვალყურის კანდიდატი. მაგრამ ეს აზრიც სრულებით მოკლებულია სიმართლეს. ყოვლად სამღვდელომ თუ აღგვირჩია ჩვენ სამღვდელოების წარმომადგენლად, აგვირჩია ალბათ მიტომ და იმ მოსაზრებით, რა მიზეზითაც გვირჩევს მთელი ეპარქიის სამღვდელოება და გვანდობს საქმეებს ქ. ქუთაისში (თუმცა ყვირილაში გვაქვს „რეზიდენცია"). და ისიც იმგვარ საქმეებს, რომელნიც ბევრის წილად უფრო რთული და მნიშვნელოვანი არიან, ვიდრე ქუთაისის საბჭოში სამღვდელოების წარმომადგენლობაა. და სჩანს ამ საქმეების მართვა-გამგეობისათვის ყვირილაში „რეზიდენციის" ქონებას ვერაფერი დაბრკოლება აღმოუჩენია...

ვისაც ყურთა სმენა ჰქონდა და მხედველობა, კარგად დაინახეს და გაიგონეს ისიც, რომ ბ. ლოლუას აღრჩევითი კენჭი აღმოუჩნდა 32 და მოპირდაპირე 26. ბ. მეთვალყურის კანდიდატს კი აღმოუჩნდა 25 აღრჩევითი და 33 მოპირდაპირე. მაშასადამე ბ-ნ ლოლუას საქმე ერთმა კენჭმა კი არ გადასწყვიტა, და მოწინააღმდეგის საქმე ერთმა კი არ დააბრკოლა, არამედ მეტმა. და ამ რიცხვებსაც რომ ადვილად გამოიანგარიშებს ყოველი, ვისაც კი ცოტა ანგარიში შეუძლია, და ბ-ნ მეთვალყურეს ეს რად შეეშალა, ჩვენ ძალიან განცვიფრებული ვართ. ამით შევსწყვეტთ ჩვენს სიტყვას და აღარ გამოვეკიდებით სხვა წვრილმანებს.

აი, კიდეც ამისთანა აზრის უკუღმართობა და გადამახინჯება არის ის სამწუხარო მიზეზი, რაიც უკარგავს ბეჭდვით სიტყვას ფასსა და მნიშვნელობას. ამგვარი უმართებულო მსჯელობა უსპობს ჩვენს საზოგადოებას ყოველ რწმენას და ნდობას ბეჭდური სიტყვისადმი და აყენებს მას იმ დონეზე, რა დონეზედაც არის დასაყენებელი მხოლოდ კერძო უმნიშვნელო მსჯელობა და ბაასობა...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მეთვალყურეები ლობეს არ იყვნენ ამოფარებულნი და საზოგადოებას ეჩვენებოდენ, მაშინ მათ არ ექნებოდათ ამდენი გაბედულება სიცრუის თქმისა, მაგრამ ეხლანდელი ლიტერატურული წეს-წყობილება არ უარყოფს პირ-ბადე აფარებული მწერლების ნაჯღაბნის ბეჭდვას და ამისთანა ნაწერებმა სრულებით დაუკარგეს საზოგადოებაში ბეჭდვითი სიტყვას ნდობა.

დეკ. დ. დამბაშიძე.

ოჯახის კერა

მამა კაცი და დედაკაცი.

IV.

ჭაბუკი ქორწინებაში.

(რუსულიდამ)

დასასრული *).

II. აქნამომდე საცოლოს ვამორჩევაზედ მოგახსენებდით, ახლა მინდა თვით ცოლქმრობაზედაც მოგელაპარაკოთ.

1. თითქმის მაშინაც, როდესაც საქმროც და საცოლოც თავისუფალნი არიან ყოველივე ნაკლისა და ცუდი მიდრეკილებისაგან, ცოლ-ქმრობა უბედური და შეუფერებელი იქნება, თუ მარად ჟამს წინააღმდეგ ხასიათსა, სიანჩხლესა და სიკაპასეს იჩენს ქმარი ან ცოლი. «თუ გსურს, ბედნიერი იყვე, მოთმინებაც უნდა გქონდესო», უთხრა ერთმა მოხუცმა თავის ძმის წულს, და ეს რჩევა სწორედ ბრძნული და გონიერია. ცოლქმრობაში, სადაც სულისა და გულის ერთობა უნდა სუფევდეს, უეჭველად მოთმენაც და დათმობაც უნდა იცოდენ. თითოეული მათგანი იმას უნდა ირჩევდეს, რაც არ მოსწონს და მისი ხასიათის წინააღმდეგია, თუ კი ეს მის საყვარელ არსებას საამოდ დაურჩება. ამ მიმართულებას

*) იხილე „მწყემსი" № 15, 1898 წ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მშვენიერად გვიხატავს მილტონი, როდესაც ამბობს, რომ «ეგა შემკული იყო დაშლილი ოქროს სიმებისებური თმებით, რომლებიც გადმოშვებული ჰქონდა მის მშვენიერს ტანზედ. მათი წვერები ვენახის კოწოლებს წაგავდენ, რომლებიც ტოტებზედ დაეძგერნ ხელის ჩასაბიდსა და ჩაშოსაყრდნობსო". დიაღ, ეგა მარად ჟამ საკირონდდა სხვის დახმარებასა, და ამიტომ სხვის აძლევდა მასზე ნაზსა და ალერსიან უფროსობასა და ბრძანებლობას. ამ გვარ მორჩილებასა და სიმდაბლეს თავის ხვედრად უნდა სთვლიდეს ქმარიც და ცოლიც, თუმცა ერთი-ერთმანეთზე ზედ-გავლენისა და უპირატესობის დროს სიმკაცრესა და ბრძანებლობასაც უნდა ერიდებოდეს.

2. სადაც გონიეროსლად და წესიერად არსებობს ამ გვარი მორჩილება, თავ-გაწირვა, რომელსაც სიყვარული სიტკბობად აქცევს, იქ ცოლ-ქმრობა, რომელიც თვით მაცხოვარმა შეაქო და გასწმიდა თვისი მიბრძანებით კანას გალილეისა შინა და პირველი სასწაულის მოხდენით, მართლა სამოთხეს წარმოადგენს. ასე ყოფილა ყოველ დროს, პირველიდან თვით ღვთისაგან დაწესებულია: „დაიყენენ ორნივე, ვითათარეა ერთ ხორცოᲐ.

ჩვენ ეკითხულობთ ამის მაგალითს სამღვთო წერილშიაც. ძველ აღთქმაში მოთხრობილია აბრაამის, ისაკის, ვიაზის დავითის მამის ბედნიერ ოჯახებზე: „რომელმან პოოს ცოლი კეთილი, უბოვნიეს მადლიო", ამბობს სოლომონი. „იხილე ცხოვრება დედაკაცისათანა, რომელი შეიყვარე ყოველთა შინა დღეთა ცხოვრებისა ამაოებისა შენისასა», სთქვა მქადაგებელმა. „დედა-კაცი კეთილი ნაწილია კეთილისაო", სთქვა სირასმა, «ის მიეცეს მოშიშს უფლისასთა».

ახალ აღთქმაში, რომელიც ათასის წლის შემდეგ არის გამოცემული, ეკითხულობთ: «პატიოსან არს ქორწილი ყოველითაცე და საწოლი შეუგინებელი; ხოლო მეძავნი და მემრუშენი მსაჯნეს ღმერთმან".

3. ეი მშვენიერი სურათი, რომელსაც გვიხატავს მესამე საუკუნის ქრისტეანე მწერალი ტერტულიანი: „რა ბედნიერია ცოლ-ქმრობა ზეკის შეწუნარებული. არა ძალ-მიძს ავსწერო სიტკბობა ცოლ-ქმრობისა, რომელსაც აერთებს ეკკლესია, აშკვირებს სიდუმლო და ამტკიცებს კურთხევა—ცოლ-ქმრობისა, რომელიც შეწუნარებულია ზეციური მეუფისაგან, და რომელსაც გვიცხადებენ ანგელოსები. როგორ კეთილთხეულია ქორწინება ორ ერთნაირ გამსჭვალულთა, ერთ-ნაირი კეთილ შობილებით და ერთგულებით შემკობილთა. ორივე ტოლებია, ორივე ერთად შრომობენ, ერთად ლოცულობენ, ანთლეებენ, ამხნევებენ და შვებლიან ერთი ერთმანერთს. განუშორებელნი არიან ღვთის ეკკლესიაში, სიხარულში, მწუხარებაში, ნუგეშში და დვენულებაშიაც. არც ერთი აღარ უღალატებს მეორეს, არც ერთს არ ეშინვეს სიკაცრე. საკუთარი სურვილით განიკითხენ ავადმყოფთა, შვილიან ღარიბთა. მაცხოვარს უხარიან, როდესაც ხედავს ამ გვარ სურათსა და ჰფენს მას თვის მშვიდობასს. სადაც ისინი იმყოფებიან, იქ ბრძანდება მაცხოვარიც, ხოლო ეშმაკი ილტვის მათგან. ტეშარიტად ამ გვარი ქორწინება „გვირგვინია მეგობრობისა და მთესველი ცოცხი მადლისა." ვინაიგან შეიძლება ეს მაგალითი ზოგი წარსულის იდეალურ წარმოდგენად ეჩვენოს, ჩვენ მოვიყვანთ თანამედროვე მწერლის მაგალითს, რომელიც სავსეა შინაარსითა და სიმშვენერით: „ის (ქმარი) იყო პატიოსანი, კეთილ-შობილური, ხოლო ქალი სამაგალითო დედა-კაცი—დედა შვილებისა და ამავე დროს დიდებული დიასახლისი. ესენი იყვენ ბედნიერი მეუღლენი. მათი ცხოვრება სავსეა შინაარსითა და ხალისიანი შრომით. მათში ზეკით დაკანონებული ცოლ-ქმრობა განსახორციელებელია ქვეყნად, და სულთათა და გულით სასიხარულოა ამ მეუღლეთა ცხოვრებაში ვხედავთ სასწაულებრივ ბედნიერებას, რომლის მინიეზა შესძლებიათ ერთიერთმანერთისათვის ქორწინებით შეერთებულ მამაკაცსა და დედა-კაცს. მხოლოდ ამ გვარი კურთხეული განწყობილებით შეიძლება შეერთდეს ორი ინტერესები, ბშვიდობიანად მოისვენოს ერთად ორმა გულმა ცხოვრების ნავთ-საყუდელში. ისინი მეგობრებია, ვინაიდან ქმარი და ცოლი. შეყვარებული არიან, ვინაიდან ქმარი და ცოლი. საუკუნოდ ერთად შეკავშირებულნი არიან, ვინაიდან ქმარი და ცოლი, ამ გვარი ცოლი გაანათლებს ქმრის ოჯახს

სამზარეულოდან დაწყებული სარდაფამდე. ამ გვარი ქმარი იღვწის თავისი ცოლისათვის, როგორც მეფე. ისინი შუა იყოფენ ჭირსა, და ამით უმჩატებენ ერთი ერთმანეთს მძიმე ტვირთს. ისინი შუა იყოფენ სიხარულსაც და ამით აორკეცებენ მას. ერთად და წყობისად ადიან მაღლობზე, და როდესაც უცველი კანონების ძალით დავშვებიან ძირს, ბნელს ბარში, მაშინაც ერთად ხელი-ხელს ჩაკიდებულნი, ღიმილით, ერთი-ერთმანეთის გამხნევებით, უფრო ნაზად წინანდელზე, როდესაც კლავშიაცა და მუხლებშიაც ძალ-ღონე შესწევდათ, გამოჰყვებიან ერთმანეთს. რას უნდა იუნჯებდეს მოხუცებულობის ჟამისათვის ამ გვარი ბედნიერნი ცოლ-ქმარნი? მოხუცებულობის დროს მათ აღარ შეუძლიათ დაადუხჭირონ თვისი კავშირი. თუმცა მაშინ სიყმაწვილის სიმკვირცხლე ეკარგვით, მაგრამ სამაგიეროდ უფრო წყნარი სინაზე ჰფდებთ, უფრო მეტი სიმშვენიერე სულისა, როგორც მიმზიდველი ყვავილი მრავალი წლის უმანკოებისა, და აი ეს ახალი თვისება ამკობს მოხუცებულებმ, რომელთა პირი სახეზედ დიდი ხნიდან აღბეჭდილია გულ-კეთილობა, თანაგრძნობა და ჭკუა. ამათ პირის სახეზედ ცუღი მიდრეკილება —ხასიათი (ჩვენ ყველანი ხორცში მყოფი ვართ) მხოლოდ ერთს წუთს წამოიქროლებენ და ამიტომაც ვერ პოულობენ იქ თავშესაფარს". («კრისტი დერნსტონ რიდეს»).

ასეთი მაღალი შეხედულება ჰქონდა ქორწინებაზე პრინცს, რომელმაც უთხრა თვის საცოლოს: „ჩემო მეუღლეო, ჩემო სიცოცხლეო! ჩვენ გავიელით ამ ქვეყანას კეთილ საქმეთა მძიმე ტვირთ ქვეშ და ქვეყნიური ჭირკრებით გავალთ უცნაურ უფანნოს".

ყოველ შემთხვევაში ურჩევ ახალ-გაზდებს წინდახედულად და მოფიქრებით დაქორწინდეს. ცხოვრების ასეთ დიდს წუთს ნუ გადასწყვეტთ ჩქარებით, მოოუბრებლად და ხუმრობით, არამედ დინჯად, დიდი მოფიქრებით, ღვთის კრძალულებით და შიშით და ყველა იმ მიზნების გათვალისწინებით მოექეცით, რისთვისაც დაწესებულია ქორწინება. ქორწინებამ უნდა შეჰქმნას ბედნიერი ოჯახის კერა და გაამაგლოს კაცობრიობა. ის იმ მიზნით დაკანონებული, რომ ერთმა მეორეში პოოს ამხანაგი, დამხმარე, და ნუგეში ლხინშიაც და ჭირშიაც. ამ გვარი ცოლ-ქმრობა დამცველია ზნეობისა, გამამხნევებელია შრომისა და ბრძოლისა. ძვირფასი ნუგეშია უბედურებისა, ფათერაკისა და გაჭირვების დროს. პოეტი ერნეს დეონსი ამბობს: «ჩემო მეუღლეო, ჩემო შვილო, მოდით ჩემთან, ახლოს. ჩენ ვიცით, რომ ქვეყნერება აღელვებული ზღვაა, მაგრამ როდესაც ხელი ხელს ჩაკიდებული ვარ თქვენთან, მაშინ არავითარი ავდრის არ მეფიქრება. თვით უძლიერესი გრიგალი არაფერია ჩემთვის, როდესაც თქვენ გიფარავ. მე არ ვსაჭიროებ სითბოს, ვინაიდგან ქარიშხლის ზუზუნი ჩემს სმენას გალობად ესმის: «ერთგული და გაბედული ადამიანია". ჩემი ძვირფასო, ბეგრათვის ცხოვრება დაწყნარებულ ზღვაში მგზავრობაა. მთა არ ეფიქრებათ ქარიშხლისა, ქარი მთა მხოლოდ სითბოს უბერავს, და სადაც უნდა იყვენ, ყოველგან აღმოუჩენდათ მეგობრები. მაგრამ ჩემო მეუღლეო და ჩემო შვილო, სიყვარულის ვაძლიერება, რომელმაც ჩვენ აგვამაღლა ცამდე, შესაძლებელი იყო მხოლოდ ქარიშხალში, ამ დროს დამტკიცდება სულისა და გულის სიმტკიცე და სინამდვილე». ე. დეონსის ცხოვრება, რომელიც სრულიად არ წაგავდა ქარიშხალს, მხოლოდ სხვი იყო ბრწყინვალე საზოგადოებისა, რომელსაც ტ. მურიც ეკუთვნოდა. რა კი პირველმა ჰპოვა ოჯახში მყუდროება, სიმხნე აშფოთებულ ცხოვრებასთან ბრძოლაში, უკანასკნელმაც მას (ოჯახს) მიუბრუნდა, ვინაიდგან იგიც დაოწმუნდა, რომ ქვეყნერება არაფერს არ აძლევდა გარდა ამაოებისა, და რომ მსოფლიური დიდება და უპირატესობა მალე მტვრად იქცევიან, და იქ ჰპოვა ის, რასაც ვერც მიანეკებდა და ვერც წაარმეტდა სოფელი. მის საუცხოო, გრძნობით სავსე ლექსებთა შორის, რომლებსაც მისი შობის დღის ხსოვნას, უძღვნის, ყველაზედ უფრო შესანიშნავი, სინამდვილეზედ დამყარებული ისინი არიან, რომლებშიაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობს, რომ თუ შესაძლებელი იყოს წარსულის წაშლა-წახოცა, ყველაფერს მოგსპობდი გარდა გონების და სინდისის იმ თავისუფლებისა, რომელიც ყველა სიმდიდრეზედ უძვირფასესი გამოდგა ჩემთვის; გარდა მეგობრობისა, რომელიც სიყრმიდანვე დავიწყე და დღესაც ვინახავ; გარდა ძვირფასი სახლობისა, ამ მფარველი კიდობნისა, სადაც დაბოლოს ვპოვე სიყვარულობის ალერსი, რომელიც ბრწყინავს მაშინაც კი, როდესაც ირგვლივ ყველაფერი სიბნელითა, ქარაშხლითა და ურწმუნოობით არის მოცული".

კვალად უმეორებ ყველა ახალ გაზდებს, რომ თუ კი უფალი მიანიჭებთ ბედნიერებას, მიანიჭებს უბიწო და ბედნიერ ქორწინებას, იგივე უბოძებს სამოთხის ვარდსა, და მიიღებს რა მას ახალ-გაზდა, წარმოსთქვას: „მოგიკითხავ, შენ ცოლ-ქმრობის სიყვარულო, კავშირო, შენ ხარ უცნაური კანონი და სამეფო წყარო აკეთრობიობის შთამომავლობის გამრავლებისა, სხვებთა შორის შენ ხარ ერთად-ერთი დიდება სამოთხისა. შენ მიერ გონებაზედ, ქეშმარიტებაზედ და სიწმიდეზედ დამყარებულმა ვიგრძენი საუკეთესო კეთილ-შობილური ალერსი მამისა, შვილისა, ძმებისა. სიყვარული ამოძრავებს აქ ოქროს ისარს. აქ ინთება მისი ლამპარი, და ისმის შრიალი მისი მეწამული ფრთებისა. აქ მეფობს და სტკბება სიყვარული".

(რუსულიდან).

მ. ჩხაიძე.

სწავლა დავამთავრე!

ვიშ! რა ბედნიერი ვარ,
სწავლა ხომ დავამთავრე?
შორ მკინარედ ამოვა
აწ ჩემთვის მზე და მთვარე!

მორჩი გულო დარდებსა,
დავსტკბეთ და გავიხარეთ,
ქვეყანა სულ ჩვენია,
მხოლოდ რომ მოვიხმარეთ.

ჩემს დიპლომს ვინც დახედავს,
ოცალი გაუნათლდება,
ხუთ-ხუთი მაქვს საგნებში,
ეს არის განათლება!..

ჩემი გაზრდა მამ-ჩემს
თუმც დაუჯდა ფასადა,
მაგრამ არა-ს წაგებს,
რადგან კარგათ გამზარდა.

ტუტუც ჩემს ამხ ნაგებს,
რად დაურიან კეთილს?!
არასოდეს ზეპირად
არ სწავლობდენ გაკვეთილს.

რალაც ქურნალ-გაზეთებს
ედებოდენ ვით ცეცხლი,
ეს იყო თვით დიდება
მათი ოქრო და ვეცხლი.

გაკვეთილს რომ ჭკითხავდენ
ზეპირ ვერ მოუვებოდენ,
მაგრამ, სიმართლე რომ ვსთქვათ:
აზრი კარგათ ესმოდათ...

ახლა ჩემიც იკითხეთ!—
რაკრაკით მოკვეებოდი,
თუმც აზრის გარკვევაში
ხშირად შევფერხდებოდი...

დიდი საქმე დიდ ნასწავლს
მომიკითხავს, მომძღვნის,
დიდ ჯამაგირს მომცემენ,
დრო მომივა შეძენის...

მეცოდება, მამ-ჩემს
რაც ქონდა ნაწვალები,
ყველა ჩემთვის დახარჯა,
სხვაც დიდვა ვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვალებს ადვილად
გავისტუმრებ ერთ წელსა,
მერე კი, მამულების
შეძენას მივყოფ ხელსა.

—

დღეში ცხრაჯერ კითხულობს
დიპლომს გაჯავრებული,
და ისევ უკუაგდებს
იქეთ გაბრაზებული.

ამბობს: ყველა საგნებში
ხუთ-ხუთი მიწერია,
სხვები ჩემთან სწავლითა,
რა ბუზი, რა მწერია!!.

მიკვირს!.. ალბათ აქ თუ ვარ,
არც კი უნდა იცოდენ!
თორემ დიდ სამსახურში,
რასთვის არ მიწოდებენ!

—

ასე ამბობდა თურმე,
ერთი დიპლომოსანი,
იფუყებოდა როგორც
ძველი დიდი ყმოსანი.

სანამ კუჭი შიმშილმა
არ აუწვა მას მაგრა,
შესაფერი ადგილის
თხოვა არსად იკადრა!

წინეთ, თითქოს მინისტრის
ადგილზედ თვალს იჭერდა,
დღეს კი კუჭის წყალობით
მცირე ადგილს დაგვჯერდა.

რ. საჯაოხელი.

არქიერის წირვა ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკკლესიაში.

6 სეკტემბერს ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო კირიონი ალავერდის ეპისკოპოსი. წირვა შესრულდა გარდაცვალებულის ეგ. წილოსანის სულის მოსახსენებლად. წირვა ქართულს ენაზედ შესრულდა, იაგრამ რუსულად გალობდენ ქართული სიტყვებით. მ. ნადიროვს შეუდგენია მგალობელთა გუნდი და მშვენიერი ხმებიც არის გუნდში. სწორეთ მსმენელზე იმნაირ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ქართული სიტყვებით რუსული გალობა, როგორსაც იქონიებს, რომ ვინმე ქართულ სიტყვებს ხმის ამაღლება დაუწყოს რუსული სიტყვებისა. ჩვენ გვიკვირს, რატომ არ სარგებლობს ბ. ნადიროვი ფილიმონ ქორიძის ნოტებით, როცა იგი ბევრად უმჯობესია ყურთა სმენისთვის.

წირვის დროს სახე ყოვლად სამღვდელო კირიონისა მეტის-მეტად შესანიშნავია. მის სახეზე თქვენ თვალსაჩინოდ ატყობთ ამაოამ წუთი სოფლის მრავალ-გვარ უსიამოვნების და მწუხარების ბეჭედს...

წირვის შემდეგ წესის აგება შეასრულა მათმა მეუფებამ გარდაცვალებულის ე. წილოსანის გვამზე მრავალი სამღვდელო პირთა თანამსახურებით. წესის აგების წინ სიტყვა წარმოსთქვა მამა მარკოზ ტყემალაძემ, რომელიც აქვე იბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა,

თქმული მღ. მარკოზ ტყვილაძისაგან ქვაშუეთის ეკკლესიაში 6 სეკტემბერს წმესის ჯვრის დროს გარდაცვლილისა ე. ფილოსანისა.

«ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა».

ყოველ კაცს რომ ქონდეს შეგნებული ეს ჭეშმარიტება, მცნება ღვთისა, მამ-ნ კაცობრიობა დიდ-ით ბედნიერი იქნებოდა. ყოველი ჩვენგანი რომ სცდილობდეს თავის ჭკუით და ხელით ნაშრომით ირჩინოს თავი და სხვის ნაშრომზე არ გამოჭეტოს თვალები, მაშინ ყოველი ჩვენგანი იცხოვრებდა გაცილებით უკეთესად, ვინემ ეხლა ვცხოვრობთ. მაგრამ საუბედურად ჩვენდა, ჩვენ შორის ერთ მხნე, მშრომელ კაცზე ოთხი-ხუთი ტუკელია მჭ მელია. სხვისი საზ-დაგი ბარგია. განსხვავებული კეთილ-შობილი ეგნატე პატივსაცემია ამ მხრივ. იმას ჩანერგული ქონდა გულში სიტყვები ზაგლე მოციქულისა, რომ-ლიც ამბობს: „შვრებოდეთ ხელითა თქვენითა, ვითარცა გამცენ თქვენ და უკეთე ვისმესს არა უნდეს საქმისა, ნუცა ზაბოან". პატარაობიდან დაზუბებული განსვენებულს გარდა თავის-თავისა არავინ ყოლია მრჩენელი; გადმოსული შორი ქვეყნიდგან, მიმშრეული დედ-მამას და ნათესაობას, მას მხოლოდ თავის-თავის იმედი ქონდა და არა კაცსაგან არ მოელოდა შემწეობას. ერთ დღესაც არ დაკარგავდა უსაქმოთ. როგორც ზარმაც კაცისთვის მუშობა დასაზარია, ისე ამისთვის, როგორც რომ მხნე კაცისთვის უსაქმოთ ყოფნას ერთ დღესაც ვერ შეძლებდა. კარგად იცოდა განსვენებულმა, რომ სანამ კაცს შეუძლია ხელი ფეი გაანძრიოს, ზკუა ამუშავოს, არ უნდა დაიზარაოს შრომა, როცა მოკვდება მ-ხუკანაც ეუოფა განსვენებ: «ყოველი, რაოდენი უკეთუ ეოვნეს ხელმან ზენმან ქმნად, ვითარცა ძალგედ-ვას ქენ, რამეთუ არ არა ქმნილი და გულის სიტყვა და მეცნიერება და სიბრძნე სოფლადვსა შინა, სადაცა შენ წარხვალ ფუნ». მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ მარტო ჩვენი შრომითაც არა გამოვა რა. ცხოვრებაში ზბირად ვნეფდვთ, ორი კაცი ერთნაირად შრომობენ, ფდეე და ფამ გაერთ-ებული აქვთ, ნარჯი ერთმანეთზე მეტ-ნაალები არა აქვთ. მაგრამ, ერთს მეტი შეძლება აქვს, მეორეს კი არა. რისი ბრალია? ჩვენი შრომა მაშ-ნ მოიტანს ნ-ყოფეს, როდესაც იმედი და სასოება შრომის დროს ერთ-და-ერთს ფმერთზე გვაქვს. განსვენებულს კ-რ-თ ქონდა შეგნებული სიტყვები: «ნეტარ არიან ყოველნი, რომელთა ეშინის უფლისა და რომელნი ვალ-ნან გზათა მისთა. ნაშრომი ნაოოფთა შენთა სჭამ-მო შენ, ნეტარ იყო და კეთილი ეეოფოს შენ». გარდა ამისა იცოდა აგრეთვე, რომ მაშინ გაი-ხარების ვაკი მშრომელი თავისი ცოლ-შვილით როცა მ-ს შიში ღვთისა ექმნა ვულში. ნათქვამია საფმრთო წერილში: «ცოლი შენი ვითარცა ვე-ნახი მსხმო კიდეთა სახლისა შენისათა, შვილნი შენნი ვითარცა ახალ ნერგი ცეთ ახალ ისანი». ორი წელი-ნწად არ გასრულებელა კ-ლვე რაც გადაიცვალა ბეეფლე ბ-ნსვენებულის და ყველამ ვიცოდით, თუ რა სამკაულს შეადგენდა იგი თა-ვის სახლისასა. და როგორ ნარჩენდენ ორივე ცოლ-ქმარნი შვილების, ბედნ-ერებით. განსვენე-ბულნი მოეცწრენ და ინიელის შვილნი შვილ-თა-თვისთანი.

მარტო თვითონ კი არ უნდა სტკებოდეს კაცი თავის ნაშრომით, არამედ მოეკვასსაც უნდა გაუზი-რდეს, როდესაც ეკანასკნელი სხვა-და-სხვა ბარეფმოებების გამო გაჭირვებულ მდგომარეო-ბაში ანრის ჩვაარდნილი. განსვენებულმა იცოდა მცნება მ-ცხოვრისა: «ნ-ტარ ივნენ მოწყალენი, რამეთუ ივნი შეიწყალენენ», ამისათვის არ ზა-რობდა არასოდეს შემწეობა ალმოეჩინა ქვრივ-ობლებისათვის და ხელი გა-ემართა მეზობლისა-თვის გაჭირვების დროს. ი, მ-სთვის მოვსულ-ვართ ფდეს, რომ განსვენებულის ს ურვ-ლიც ალვა-სრულოთ. „ძმანო ჩემნო საყვარელნო, ნუ და-მივიწყებთ მე ოდეს უგალობდეთ უფალს, არა-მედ მოიხსენებდეთ ძმ,ბრივ სიყვარულსა ჩემსა და ევედრებოდეთ ფმერთსა განმისვნის მართა-ლთა თანს». ამისათვის ვხმობდეთ: „განუსვენე, ფმერთო, რომელიცა ესე შეივფდრე წმინდათა შენთა თანს». ამინ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ.

ᲘᲛᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲭᲝ ᲡᲐᲙᲚᲐᲡᲘᲡᲝᲠᲘ ᲜᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲣᲜᲑᲘᲗ ᲘᲛᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲪᲔᲪᲮᲚᲣᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲘᲠᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲬᲣᲥᲠᲝᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲫᲚᲔ, ᲣᲨᲔᲑᲠᲕᲔᲚᲝᲗ ᲓᲐ ᲙᲪᲘᲡ ᲣᲨᲠᲝᲛᲚᲐᲓ. ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲬᲣᲜᲑᲘᲗ ᲘᲛᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲤᲐᲠ-ᲒᲐᲓᲐᲯᲐᲚᲘ ᲛᲔᲠᲔᲓᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲤᲐᲡᲘᲡᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲬᲣᲜᲑᲘᲗ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲡᲣᲚᲘᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲛᲩᲜᲘᲡᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲜᲐᲘᲠᲘ ᲤᲐᲡᲘᲡᲐ, ᲡᲐᲛᲫᲦᲕᲔᲚᲝ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲙᲚᲐᲡᲘᲡᲝᲠᲘ ᲜᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲠᲘᲙᲘᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲠᲘᲚᲛᲐᲜᲘ, ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲦᲕᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲑᲚᲐᲜᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲑᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲠᲩᲔᲑᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲛᲠᲗᲝ ᲡᲙᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲡᲬᲚᲘᲡᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲜᲘ. ᲐᲛ ᲡᲐᲬᲣᲜᲑᲘᲗ ᲘᲛᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲤᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲓᲘ ᲯᲐᲠᲘ ᲑᲐᲖᲘᲗᲗᲐᲕᲘᲡ, ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲘᲐᲒ-ᲤᲐᲡᲘᲡᲐ.

ᲘᲛᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲭᲝ ᲬᲘᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲛᲝᲠ ᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲝᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ (ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ) ᲘᲔᲓᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲪᲕᲘᲚ-ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐᲡ ᲝᲪᲓᲐᲠᲛ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲗ ᲨᲣᲠᲐᲓ, ᲡᲝᲚᲝᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲓᲐᲠᲔᲡ —ᲪᲝᲢᲐ ᲯᲣᲯᲔᲘᲐᲜᲘ—ᲜᲐᲬᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡᲐ. ᲒᲐᲛᲘᲡᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲛᲚᲘᲐᲗ ᲛᲘᲝᲢᲐᲢᲜᲝᲜ ᲗᲕᲘᲗᲘᲡ ᲡᲐ-ᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲬᲘᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲡ ᲬᲘᲠᲕᲘᲡᲨᲘ, ᲗᲝᲗᲐᲕᲐᲠ-ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲛᲮᲝᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲔᲠᲓᲘᲗ, ᲛᲘᲓᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲘᲚᲘᲡᲐ 9 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ—12 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ. 3—2

ᲙᲘᲠᲘᲚᲝᲕ ᲡᲐᲐᲕᲐᲗᲛᲔᲣᲚᲝᲗᲐ ᲐᲯᲐᲮᲣᲚᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ

Ს. Ბ. ᲗᲝᲤᲮᲣᲠᲘᲐᲜᲘ.

Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

ᲡᲐᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲜᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲡᲐᲣᲚᲘᲡ ᲮᲘᲠᲣᲠᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲘᲜᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲔᲜᲘᲗ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲣᲨᲣᲯᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲔᲜᲘᲗ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲜᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲝᲡᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲜᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ 11 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲨᲣᲐᲦᲚᲘᲡ 3 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲜᲘᲠᲗᲕᲘᲗᲘ ᲐᲯᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲗᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲡ
ᲛᲔ. Ს. Ბ. ᲗᲝᲤᲮᲣᲠᲘᲐᲜᲘ.

ᲮᲘᲠᲣᲠᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲨᲐᲠᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲤᲘᲚᲘᲡᲘᲗᲕᲘᲡ
ᲛᲔ. Ფ. Კ. ᲑᲔᲠᲐᲫᲔ.

ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲣᲠ ᲐᲯᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲘᲝᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ
ᲛᲔ. Ბ. Ფ. ᲙᲚᲝᲒᲐᲜᲘ.

ᲗᲕᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲯᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲡᲗᲕᲘᲡ
ᲛᲔ. Ი. Კ. ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲬᲙᲘ.

ᲠᲩᲔᲕᲐ ᲓᲐᲠᲘᲪᲮᲘᲡ ᲤᲡᲘᲚᲘ 50 Კ., ᲙᲝᲜᲡᲘᲚᲘᲣᲛᲘᲡ ᲤᲡᲘᲚᲘ 3 Მ. ᲓᲦᲔ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲥᲝᲠᲐ ᲡᲐᲯᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲗᲐ ᲨᲠᲘᲚᲘ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ ᲓᲐ ᲥᲘᲜᲝᲑᲘᲗ 2—3 ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲐᲛᲓᲔ. ᲐᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲡᲘᲚᲘ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲜᲐᲚᲝᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ს. Ბ. ᲗᲝᲤᲮᲣᲠᲘᲐᲜᲘ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲡᲐᲜᲐᲒᲚᲔᲑᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡ ᲨᲣ. ᲡᲘᲜᲝᲓᲝᲜᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲛᲗᲐᲡᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡ 7 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ.—ᲡᲝᲒᲓᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲛᲘᲠᲩᲔᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ.—ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲠᲣᲡᲘᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘ.—ᲒᲚᲔᲜᲘᲫᲔᲚᲘ ᲓᲠ.ᲘᲡ ᲑᲔᲯᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲜᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ.—ᲨᲣᲥᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘ, ᲛᲐᲛᲐᲯᲘᲪᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲯᲘᲪᲘ.—ᲡᲬᲐᲚᲐ ᲓᲐᲒᲐᲛᲝᲗᲘᲠᲘᲗ (ᲚᲔᲥᲪᲘᲐ).—ᲛᲔᲠᲔᲓᲘᲗ-ᲛᲝᲗᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲗ 6 ᲡᲘᲥᲢᲘᲛᲑᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ.—ᲨᲘᲢᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲠᲯᲕᲝᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲛᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲬᲡᲚᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲜᲯᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ.—ᲛᲔᲠᲔᲓᲘᲗ-ᲛᲝᲗᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲜᲯᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲡᲚᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲜᲯᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ ᲓᲔᲓ. Დ. ᲓᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 сентяб. 1898 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елісѣвъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хандановыхъ, на Нѣмецкой ул.